ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5836401

ნომერი: AR1879181

თარიღი : 17.02.2022

გაცემის თარიღი : 07.03.2022

გაცნობის თარიღი : 07.03.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქინძმარაულის ქუჩა N5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბორის ხატიაშვილი პ/ნ 01024044086
- თბილისი, ფანასკერტელის 11 კორპ. ბ-77

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 იანვრის №5778092 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 17 თებერვალს №AR1879181 განცხადებით მომართა ბორის ხატიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის

27 იანვრის №5778092 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 იანვრის №5778092 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა №5-ში მდებარე №01.19.34.003.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 9 თებერვლის №5798171 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 9 თებერვლიდან 2023 წლის 9 აპრილის ჩათვლით წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 27 იანვრის №5778092 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის 200.7 კვ.მ. ფართობის დაფიქსირებას. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ავტოსადგომის 200.2 კვ.მ. ფართობის ამოღებას და შესაბამისად, საერთო ფართობად 2931.3 კვ.მ-ის ნაცვლად 2731.1 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გენ-გეგმა და +0.00 ნიშნულის გეგმა (pdf ფაილის მე-2 და მე-5 გვერდები), ასევე შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გენ-გეგმას, +0.00 ნიშნულის გეგმას და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ ავტოსადგომისა და საერთო ფართობები, რომლებიც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ასევე, დაადგინა, რომ გენ-გეგმაზე დაფიქსირებული იყო საპროექტო შენობა-ნაგებობისთვის გათვალისწინებული ღია ავტოსადგომები. ამასთან, გენ-გეგმა და +0.00 ნიშნულის გეგმა (pdf ფაილის მე-2 და მე-5 გვერდები) არ იცვლება, ხდება მხოლოდ მათზე დატანილ ღია ავტოსადგომებზე შესაბამისი ზომებისა და ფართობების დაფიქსირება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 იანვრის №5778092 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 იანვრის №5778092 ბრძანებაში და:
1.1 ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 200.7 კვ.მ.
1.2 ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნეს ავტოსადგომის 200.2 კვ.მ. ფართობი და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდეს - 2731.1 კვ.მ.
2. სამსახურის 2022 წლის 27 იანვრის №5778092 ბრძანებით შეთანხმებული გენ-გეგმა და +0.00 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გენ-გეგმითა და ამავე ნიშნულის გასწორებული არქიტექტურული გეგმით (წარმოდგენილი pdf ფაილის მხოლოდ მე-2 და მე-5 გვერდები).
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 იანვრის №5778092 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 იანვრის №5778092 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.